ტექნიკური დავალება

მიწის ნაკვეთის მისამართი	თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის #23
მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი	01.13.01.001.087
მიწის ნაკვეთის ფართობი	7200 მ2
ჩასასხმელი ბეტონის მოცულობა	4120 მ3
გამოსაყენებელი არმატურის წონა	424 ტონა

სამუშაოს აღწერილობა

1. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს რკინაბეტონის საძირკვლების, ბეტონის კედლების, რიგელების, სვეტებისა და ფილის ჩასხმა თანდართული პროექტის შესაბამისად. აღნიშნული ტენდერი ძირითადად მოიცავს სამუშაოებს 0.0 ნიშნულამდე. ანუ საძირკვლის ფილის, სარდაფის კედლების, სარდაფის სვეტების, რიგელების, პანდუსის და სარდაფის გადახურვის ფილის მოწყობას. ასევე სამუშაოებში შესულია სვეტებისა და კიბეების მოწყობა 0.0 ნიშნულიდან 3.9 ნიშნულამდე. შემსრულებლისაგან არ მოითხოვება ქვაბულის გაჭრა და ბალასტის შევსება. შესაბამისად, მან უნდა განახორციელოს მხოლოდ პროექტის 6- 88 გვერდებზე მოცემული სამუშაოები.
2. შემსრულებელმა უნდა შეასრულოს სამუშაოები თანდართული პროექტის შესაბამისად. ამ ტენდერით გათვალისწინებულია მხოლოდ სამუშაოების შესყიდვა. ბეტონისა და არმატურის შესყიდვას დამკვეთი მოახდენს დამოუკიდებლად.
3. შემსრულებელმა უნდა მოახდინოს წარმოდგენილი პროექტის დეტალური ანალიზი და დამკვეთთან შეათანხმოს ყველა გაუგებარი/ბუნდოვანი საკითხი. პროექტის დეტალურ ანალიზს და განხორციელების ეტაპების შეთანხმებას დამკვეთი და შესრულებელი მოახდენენ ერთობლივად.
4. სასურველია შემსრულებელს საკუთრებაში გააჩნდეს ბეტონის სამუშაოებისათვის საჭირო ყალიბები, სპეციალური მრგვალი ფორმის ყალიბები სვეტებისთვის, დანგრატები და სხვა დამხმარე ტექნიკა. ამ ტექნიკის დაქირავების ფასი ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი სამუშაოების ფასიდან. ასეთის არარსებობის შემთხვევაში შემსრულებელმა უნდა დაიქირავოს აღნიშნული ტექნიკა სხვა მესაკუთრისაგან დამკვეთთან შეთანხმებით.
5. შემსრულებელს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მუშაობისთვის საჭირო ხელსაწყო იარაღები, მაგალითად ბურღი, „ბალგარკა“, ჩაქუჩები, ბრტყელტუჩები და სხვა წვრილმანი ინსტრუმენტები. დამკვეთი არ უზრუნველყოფს შემსრულებელს მსგავსი იარაღებით.
6. მიღებული ბეტონის ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, დეფექტებისა და ნაწიბურების გარეშე. ბეტონის ზედაპირს არ უნდა სჭირდებოდეს შელესვა ან რაიმე დამატებითი სახის დამუშავება.

7. ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, სამუშაოების შესრულების პარალელურად. ანაზღაურდება განხორციელდება თვეში ორჯერ.

8. შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოების შესახებ. კერძოდ: დამკვეთი, სამუშაოს მოცულობა და ვადები.

9. შემსრულებელი ვალდებულია, შესრულებული სამუშაოების აღრიცხვა აწარმოოს Task management პროგრამა Asana-ს საშუალებით. შემსრულებლის წარმომადგენელმა დამკვეთთან შეთანხმებული პერიოდულობით უნდა მოახდინოს შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის (სიტყვიერი და/ან ფოტოს სახით) ატვირთვა პროგრამაში.

10. შემსრულებელი ვალდებულია შრომის უსაფრთხოების დაცვაზე სამშენებლო მოედანზე. მან უნდა უზრუნველყოს პერსონალი პირადი დამცავი საშუალებებით (ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ჩაფხუტები, სამაგრი მოწყობილობები). გამოყენებულ მექანიზმებს (მაგ. ამწე) უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.

11. შემსრულებელი ვალდებულია გადაიხადოს ყველა სახის კომუნალური გადასახადი (დენი, გაზი, ელ. ენერგია) მშენებლობის პერიოდში.

12. შემსრულებელი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს აუცილებელი ინფრასტრუქტურის (სამუშაო, საცხოვრებელი და სასაწყობე კონტეინერები) მოწყობას, რაც საჭიროა მის მიერ განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად

13. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი უზრუნველყოფს სამსენებლო მოედნის დასუფთავებას და ყველა სახის მოწყობილობის და ნარჩენი მასალების მოშორებას.